


# საგზაო

ეროვნული  
ნიშნით

საორტული გაზეთი ორშაბათი 7 აპრილი 2008 №077 (3301)

ფასი 50 თეთრი



**ავროპის ერთა თასი**  
რუსეთი - საქართველო  
12 აპრილი. ქრასნოიარსკი. 12 საათი

## ფრანგული უარი საქართველოს

არც ნატოს სამოქმედო პროგრამა და არც მორაბაეები სარუსეთოდ

რუსეთთან მატჩამდე ექვსი დღეა რჩება და საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ტიმ ლენის პრობლემები არ ელევა. რაც ლენის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, მიჯრით ოთხი მატჩი ულაპარაკოდ კი მოიგო, მათ შორის, რუმინეთთან, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობა ერთხელაც არ ჰყოლია.

დათქმული იყო, რომ 12 აპრილს, შუაგულ ციმბირში, კრასნოიარსკში ნაკრების ყველა ძირითადი რაზმელი შეიკრიბებოდა, მაგრამ ფრანგული კლუბების თანხმობას საზღვარი არ აქვს. არადა, კრასნოიარსკში 2007-08 წლების ერთა თასის ფინალის ტოლფასი მატჩია და იმასაც თუ ვიტყვით, ჩვენს და რუსეთს შორის რაგინდარა შეხვედრა თამაშზე მეტიაო, არც აქ გადავაჭარბებთ.

ლენმა სარუსეთი 23-კაცა რაზმი ოთხი დღის წინ ჩამოწერა, მაგრამ ორ დღეში იტულებითი ცვლილებების გაკეთება მოუწია. თუმცა ამას ცვლილებას ვერ დაფარქმევთ, რადგან შემადგენლობა 22 კაცამდე შემცირდა. ფრანგულმა „კლერმონმა“ სანაკრებოდ არ გაათავისუფლა ჩვენების შერკინების ბურჯი დავით ზერაქიშვილი, აქოდა, ბევრი ტრავმირებული მყავს და ბურჯის გარეშე ვრჩებით. ლენმა „ზირაქას“ ნაცვლად „აენის“ ბურჯი ანტონ ფეიქრიშვილი ევლუბოდა, მაგრამ მასაც ტრავმა აღმოაჩნდა. ფრანგთა სიჯოტის მიზეზით რუსეთთან ვერ ითამაშებს „მონ დე მარსინის“ მოიერიშე და მელელოვე ირაკლი მარხანელი, ხოლო ვია ლაბაძეს, მაღლაზ ურჯუკაშვილს, ირაკლი გიორგაძეს და ბესიკ ზამაშურიძეს ტრავმები აქვთ.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრები რუსეთთან საომრად გვარიანად შესუსტებული შემადგენლობით და ზუსტად იმდენი მორაგებით მიდის, რამდენიც მატჩის განაცხადში უნდა მოხედეს. არადა, ასეთ დროს ერთით ზედმეტი მორაგბე მიჰყავთ ხოლმე — ვინიცობაა, შეკრებაზე ვინმემ ტრავმა მიიღოს ან მწვრთნელმა შეცვალოს რამე.

საქართველოს ნაკრები ამ დღითი თბილისი-კიევი-მოსკოვი-კრასნოიარსკის მარშრუტით გაფრინდა. ქართველები ციმბირში ზვალიდან დაიწყებენ ხუთდღიან შეკრებას. მატჩი ციმბირული დროით 15 საათზე, ჩვენი დროით კი ზუსტად შუადღისას, 12 საათზე დაიწყება.

ბაჩო სვანიძე

### საქართველო რუსეთთან

**შერკინება:** გოდერძი შველიძე, იური ნატრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, სიმონ მაისურაძე, დავით ქუბრაშვილი, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, კახა უჩავა, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კატარავა, რევაზ გიგაური, სანდრო თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი შკინინი, ოთარ ბარკალაია

## ქასპერჩას და ივანკოვიჩს ფანბურთის ფედერაცია გულბრილად არ უყურებს ივო შუშაკი კი შუშაკს გვთავაზობს




## ლიდერთა გასეირნება მძიმე კვირის წინ



**ზვალ:** ზმსტაფონი — დინამო  
**კვირას:** დინამო — აგერი

ვიტორჩიელი პირველი გოლი აჭრანის კარში



### ქირავდება

საოფისო ფართობი რუსთაველზე  
1 ბინა 86 მ² - 800\$  
11 ბინა 99 მ² - 900\$  
საოფისო ფართი ლენინის მოედანთან  
75 მ² (ეპრო რემონტით) - 800\$  
მომ: 895-22-91-22

მურამ დოღუნაშვილის ფოტო

პირველი სურათი

მურამ დოღუნაშვილის ფოტო



# ქართველი უცხოეთში

## ბანსაქართველი არაფერი: თაბაშიზი კანტი-კუნტად და გოლიზი

ქართველი ლეგიონერები ბოლო დროს ძირითადად აზერბაიჯანში ყოჩაღობენ. ჩვენებურებმა სამეზობლოში ამ უქმეებზეც გაიტანეს სამი გოლი, რასაც რუსეთის ზედა და ქვედა ლიგებში თითო-თითოც დაემატა, ელიტარულ ჩემპიონატებში კი...

როგორც იქნა, მოიგო „მილანმა“ — 3:1 „კალიარისთან“. გამარჯვებაში კახა კალაძემ 90-წუთიანი წვლილი შეიტანა და ამ დროში ყვეოთელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი.

ბლექბერნელ ზურაბ ხიზანიშვილს „ტოტენჰემთან“ (1:1) საშინაო მატჩში არ უთამაშია.

გერმანიის ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე აღზევდა „შალკე“, რომელმაც 1:0 მოუგო „ჰანზას“. ლევან კობიაშვილმა თამაშს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ კი ბოლო წუთზე 0:1 წააგო სტუმრად „არმიინისთან“. იაშკა მოედანზე 73-ე წუთზე შევიდა.

მეორე ბუნდესლიგაში ბოლო ტურებია, ყოჩაღობს „კარლ ცაისი“. იენელებს ამჯერად „პადერბორნი“ შემოუღობათ — 3:0. გუნდს 90 წუთი ეხმარებოდა ილია კანდელაკი, გიორგი სეთურძე სათადარიგოთა სკამზე დარჩა, გიორგი ონიანი ტრიბუნაზე.

0:5 შერცხვა „ფრაიბურგი“, მაგრამ ეს ყველაფერი ოთარ ხიზანიშვილის გარეშე „მოახერხა“.

იუნიორთა ლიგაში კი „შალკემ“ „დორტმუნდს“ 4:1 მოიგო. ლევან ყენიას ანგარიშზე საგოლე პასია.

გიორგი შაშიაშვილის „შტურმი“ სტუმრად 0:3 დამარცხდა „ზალცბურგთან“. ჩვენებურმა სრულად ითამაშა, თუმცა გუნდს ვერაფრით დაეხმარა.

ტრაუმის გამო არ უთამაშია გიორგი განუგრაგას. მისმა „ბოლესლაგმა“ კი სტუმრად 2:1 მოუგო „ლიბერეცს“.

რუსულ პრემიერლიგაში გაიტანა დავით კვიციანიამ, მისმა „რუბინმა“ კი შინ 2:1 მოუგო „ტომს“ და უდანაკარგოდ ლიდერობს ჩემპიონატს.

კვიციანიამ 90 წუთი იბურთავა, ლაშა სალუქვაძე 64-ე წუთზე

შეცვალეს, ნუკრი რევიშვილი კი ტრაუმის გამო უქმობს.

ლევან გვაზავას „ლუქსმა“ სტუმრად წააგო „რილიასთან“ (1:2). ვლადიმოსტოველთა ერთადერთი გოლი ჩვენებურის პასით გავიდა.

მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი სათადარიგოთა შორის დარჩნენ, „ლოკომოტივმა“ კი მათ გარეშე სტუმრად 2:1 მოუგო „სატურნს“.

რუსეთის პირველ დივიზიონში „ქართულმა“ „ანჟიმ“ იმარჯვა. ნიკოლოსისისის „ჩენომორეცთან“ მატჩში ერთადერთი გოლი ვალერი აბრამიძემ გაიტანა.

უკრაინაში უკვე წავიდა ის დრო, როდესაც ქართველებს გოლები გაჰქონდათ. ახლა ჩვენებურებს სათამაშო დროის სიმცირეც აწუხებთ.

85 წუთი ითამაშა ჯაბა კანკაძემ, „დნიპრომ“ კი სტუმრად „მეტალისტთან“ წააგო — 0:1.

83 წუთი ითამაშა „ხარკოვის“ შემადგენლობაში კახა ალადაშვილმა. ხარკოველებმა სტუმრად 4:1 მოუგეს „ნეფტიანისთან“.

დანარჩენი ქართველებიდან „ხოვს ტრაუმის“ გამო არ უთამაშია, „ხოვიც“ თადარიგში დარჩა.

გიორგი ადამიამ მორიგი აზერბაიჯანული დუბლი მიითვალა. „ნეფთიმი“ სწორედ მისი წყვილი გოლით მოუგო სტუმრად „მასადის“.

გაიტანა რომან ახალკაცმა, თუმცა თავისიანები მარცხს ვერ გადაარჩინა — „კარვანი“ 1:3 დამარცხდა სტუმრად „ინტერთან“.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო კახა ცხადაძის „სტანდარდმა“. ამჯერად შინ 3:0 მოუგო „სიმურგს“.

და ერთიც: შოთა არველაძემ მეორე მატჩი ჩაატარა ესპანურ პრემიერ-დივიზიონში — „ლევანტემ“ შინ 0:3 წააგო „ვალადლიდიანს“, მითამ კი ბოლო 15 წუთი ითამაშა.

მიხეილ შოროლონიანი



გადრი კათოლიკის ფოტო

გახსოვთ 2003 წლის 30 აპრილი? რა დაგვაგინებდა იმ დღეს საქართველოს ნაკრებმა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა: რუსეთი 1:0 დაამარცხა. მწვრთნელიც გეხსმებათ — ხორვატი ივო შუშაკი, რომელსაც უმწვრთნელობის პერიოდში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის გაძღოლა სულ ორი მატჩით ანდო და ერთ-ერთი სწორედ რუსეთთან შეხვედრა იყო. ამ ერთი კონკრეტული სანაკრებო ნარმატიების გარდა, ხორვატმა მწვრთნელმა თბილისის „დინამო“ შინაურ სარბიელზე ხომ აპირველა და თასი მოაგებინა, იმდროინდელ შეგირდებს თანამეგობრობის ჩემპიონის ტიტულიც მოაპოვებინა... მერე ლამის გაქართველებული ივო შუშაკი ხორვატიაში დაბრუნდა და ერთი პერიოდი იქაურ „ოსიეკს“ ხელმძღვანელობდა. დღეს კი შუშაკი უმუშევარია, ახალ წინადადებებს ელის და, შესაძლოა, ერთი ზარი საქართველოდანაც იყოს. ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელის ადგილი ხომ ახლა ისევ თავისუფალია...

# ივო შუშაკი: ჩამაგბარეთ საქართველოს ნაკრებში!

— ბოლო დროს საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე, ჩემთვის სამწუხაროდ, ქართველებმა ყველა თამაშში წააგეს — გვიტოხრა გუშინ ივო შუშაკმა — ასეთ დროს კი თავისთავად მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი დგება. ზუსტად არ ვიცი, ამ შემთხვევაში რა და როგორ მოხდა, თუმცა ნამდვილად არ გამკვირვებია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლასუს ტოპმოლოური ნაკრებიდან დაითხოვა.

— ახლა კი ახალი მწვრთნელის დანიშვნის საკითხია მოსაგვარებელი და თქვენ ხომ არ დაკავშირებით ვინმე საქართველოდან?

— არა, დღემდე არავინ დამკავშირებია...

— რომ დაგიკავშირდნენ და ნაკრების გაძღოლა შემოგთავაზონ, თქვენი პასუხი როგორი იქნება?

— ადრე, როცა საქართველოში მუშაობა დავამთავრე, წასვლის წინ ვთქვი, რომ საქართველოში, გინდ ნაკრებში, გინდ საკლუბო დონეზე სამუშაოდ სიამოვნებით დავბრუნდებოდი. ეს აზრი არც ახლა შემცვლია. საქართველოში მუშაობის სურვილი დღესაც მაქვს და ფული ჩემთვის მთავარი არ არის.

— ვთქვით, ფედერაციასა და თქვენ შორის მოლაპარაკება დაიწყო. რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა თუ გექნებათ, რის გარეშეც შეიძლება წინადადებას არ დათანხმდეთ?

— დაახლოებით ვიცი, რა მოთხოვნებიც ჰქონდა კლასუს ტოპმოლოურს, ჩემი პირობები კი ასეთი არ იქნება. მიმანია, რომ ნაკრების მწვრთნელი იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, სადაც მუშაობს და იმავე ცხოვრებით ცხოვრობდეს, როგორც ქვეყანა ცხოვრობს. უნდა ჰქონდეს ყველასთან მჭიდრო ურთიერთობა, დაესწროს ჩემპიონატის თამაშებს... ჩემი აუცილებელი მოთხოვნა კი, ცხადია, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ასეთი იქნება — თანამემწე აუცილებლად ქართველი უნდა მყავდეს.

— თქვენი აზრით, როგორი მწვრთნელი სჭირდება დღეს საქართველოს ნაკრებს?

— ის ძალიან გამოცდილი მწვრთნელი უნდა იყოს და პატარა ქვეყნის ხალხის მენტალიტეტი იცოდეს. ეს უნდა იყოს საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის შეჩვევისას აუცილებელი კრიტერიუმი. ამჟამად, როგორც ვიცი, საქართველოს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და არიან გამოცდილებიც, ახალმა მწვრთნელმა მათი ერთმანეთთან უმტკივნეულოდ შერწყმა უნდა მოახერხოს და ნაკრების ასაკობრივი ფაქტორი დააბალანსოს... საქართველოში იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელია, კარგი მუშაობის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, საქართველომ ყოველთხ წელიწადში ერთხელ ან მსოფლიოს, ან ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს. მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა თავიანთი საქმე მთელი სულით და გულით უნდა აკეთონ და კარგი შედეგაც აუცილებლად იქნება. საქართველოში საამისოდ ძალიან ბევრი პირობაა.

— მოკლედ, წინააღმდეგი არ ხართ, საქართველოს ნაკრები ხელმეორედ ჩაიბაროთ...

— უკვე გითხარით, რომ საქართველოში სიამოვნებით ვიმუშაებდი და ადრე ნათქვამს ერთხელაც გავიმეორებ, საქართველო ჩემს მეორე სამშობლოდ მიმანია და როცა კი საშუალება მაქვს, ყოველთვის თქვენკენ მოვიქნარი ხოლმე. ისე, თუ გახსოვთ, საქართველოს ხუთჯერინი დროს პირველად სწორედ ჩემმა გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ ააფრიალა მოსკოვში.

როცა „თანამეგობრობის თასის“ ფინალს ვთამაშობდით, სწორედ იმ დღეს იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია და ხუთჯერინი დროს ქვეყნის ოფიციალურ სიმბოლიკადაც მაშინ გამოცხადდა. „დინამომ“ ის ფინალი მოიგო და ახალი დროსაც ააფრიალა. იმ წარმატებით ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— მართლაც სასიამოვნო მოგონებაა... როდის გვეწვევით?

— ჯერ არ ვიცი... თუმცა ფეხბურთის ფედერაციიდან თუ დამიკავშირდებიან და მოლაპარაკებას შემომთავაზებენ, მზად ვარ, საქართველოში მეორე დღესვე ჩამოვიდე.


კობა ინასარიძე

## საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი 21 ტური

აღმოსავლეთი		დასავლეთი	
ამირი 2 0:1 მუშაძე	ოლივი 2 0:3 ვიტ ჯორჯია 2	ბორკაძე 1:1 ხოვი	მირანი (მ) 0:1 მაღაროელი
დინამო 2 3:1 რისურა	გაგრა 4:0 ნ.დინ-მირანი 2	სამბრაძე 2:1 ზუსტაფონი 2	კოლხეთი 1:0 უნივერსიტეტი
ოლივიკი 2:1 კახეთი	დინამო 2 21 12 6 3 32:15 42	მეტაქე 21 12 1 8 34:29 37	ზუსტაფონი 2 21 11 2 8 33:20 35
მეტაქე 21 11 6 4 30:18 39	ვიტ ჯორჯია 2 21 11 5 5 32:15 38	მერანი (მ) 21 10 4 7 26:18 34	ტორპედო 21 8 6 7 29:26 30
გაგრა 21 11 5 5 43:32 38	ჩიხურა 21 9 6 6 33:29 33	კოლხეთი 21 8 6 7 26:25 30	ხოვი 21 7 6 8 27:25 27
ჩიხურა 21 9 6 6 33:29 33	ოლივი 2 21 8 6 7 27:23 30	უნივერსიტეტი 21 6 3 12 16:22 21	სამტრედია 21 5 4 12 24:44 19
ოლივი 2 21 7 4 10 30:33 25	ამერი 2 21 7 2 12 30:35 23	ფაზისი 21 2 2 17 17:55 8	
ამერი 2 21 7 2 12 30:35 23	ოლივიკი 21 4 4 13 26:43 16		
ნ.დინ-მერანი 2 21 0 6 15 17:57 6			

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან





გადილი აბთილიაის ფოტო

# ორი გვარი დავთარში ბრანკო ივანკოვიჩი და ჰენრიკ პასპერჩაკი საქართველო თქვენს

სორმატი ბრანკო ივანკოვიჩი და პოლონელი ჰენრიკ კასპერჩაკი — როგორც შეიქმნა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ორ მწვრთნელს გულგრილად არ უყურებს და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის კანდიდატობაზე თვლის შესაძლოა, კანდიდატობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ...

ევროპაში ამ ორიდან უფრო მოთხოვნილი მწვრთნელი ივანკოვიჩია, ვისაც გელზენკირხენის „შალკეს“ მომავალ თავკაცადც მიიჩნევენ. ხორვატმა შარშანწინ დატოვა ირანის ნაკრები — მუნდიალ-2006-ის შემდეგ.

54 წლის სპეციალისტმა სამწვრთნელო კარიერა 1991 წელს სამშობლოში, „ვარტეკსში“ დაიწყო და ევროპაში საკმაოდ ყოჩაღად ათამაშა გუნდი, 4 წელი იმუშავა ამ იქ და ერთხელ თასების თასის მეთითხელფინალშიც მოხვდა. შემდეგ ისევ ხორვატიულებს, „სეგესტას“ და „რიეკას“ წვრთნიდა, ხოლო 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიროსლავ ბლაჟევიჩის პირველი თანამშემწე გახლდათ ხორვატიის ნაკრებში. ხორვატები მესამეზე გავიდნენ, ბლაჟევიჩის მეორე თანამშემწე კი, გეცოლინებათ, ქართველთათვის კარგად ნაცნობი იყო შუმაკი იყო.

1999 წელს ივანკოვიჩმა გერმანულ „ჰანოვერში“ იმუშავა, 2001-დან კი ირანში წავიდა — იქ ჯერ ბლაჟევიჩის ასისტენტი გახლდათ, მერე კი თავად ჩაიბარა ირანის ნაკრები და 2002 წელს აზიის ჩემპიონატში მწვრთნელი და მუნდიალზე გაიყვანა.

პიონი გახდა, 2004-ში მესამეზე გავიდა. ბოლო მუნდიალზე კი მართალია, ივანკოვიჩის გაწვრთნილები ჯგუფში ბოლოზე გავიდნენ, სამივე მატჩში ახლოს იყვნენ თუნდაც ფრესთან.

ირანის ნაკრების თავკაცის რანგში ივანკოვიჩმა 56 მატჩში 33-ჯერ მოიგო და 9-ში დამარცხდა, ამ გამარჯვებებს შორის კი გამოსარჩევია უკრაინასთან 1:0 და ბოსნიასთან 5:2.

ლოკტორმა ივანკოვიჩმა შეძლო და ცივისხლიანი მეთოდები შეიტანა ირანელებში. მას სპარსთა ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად თვლიან.

რაც შეეხება 61 წლის კასპერჩაკს, საფეხბურთო კარიერა უფრო შთამბეჭდავი ჰქონდა, პოლონეთის ნაკრების „ოქროს ხანაში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი გახლდათ, 73 კეპი აქვს.

კასპერჩაკმა მწვრთნელად მუშაობა ფრანგულ „მეცში“ დაიწყო 1978 წელს, იქ 6 წელიწადი ითვალისწინებოდა, საფრანგეთის თასი მოიგო და ორჯერ გავიდა ქვეყნის თასის ფინალში.

შემდეგ იყო ისევ საფრანგეთი, 1993 წლამდე პოლონელი სპეციალისტი „მამლებს“ ქვეყანას არ გასცდენია, მერე კი კოტ დივუარის ნაკრები ჩაიბარა, სადაც ერთი წელიწადი გაჩერდა და ტუნისის ნაკრებში გადაბარგდა ოთხი წლით — 1998 წლის მუნდიალზე ტუნის-

ვლებმა კი გააღწიეს, მაგრამ იქ ხეირიანი შედეგი ვერ აჩვენეს.

კასპერჩაკი საფრანგეთში დაბრუნდა, ცოტა ხანს „ბასტიას“ უთავკაცა და მერე ჯერ არაბეთის „ალ-ვასლი“, შემდეგ კი მაროკოს ნაკრებს წვრთნიდა, თუმც წარმატებების გარეშე. 2000 წელს ჩინეთის ერთ-ერთ გუნდშიც იყო, საიდანაც მალის მიაშურა და იქაური ნაკრები აფრიკის თასზე მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

2002-2005 წლებში ჰენრიკ კასპერჩაკი პოლონურ „ვისლას“ წვრთნიდა და ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ვის არ ეხსოვება მისი „ვისლას“ თამაშები ჯერ „ვიტჯორჯიასთან“, მერე კი „დინამოსთან“.

2006 წლიდან კასპერჩაკმა სენეგალის ნაკრები ჩაიბარა და წლეულს თებერვალში მოხსნეს — მისი გაწვრთნილი სენეგალელები აფრიკის თასზე ჯგუფში ჩარჩნენ და მეოთხედფინალს ვერ უწიეს.

აქვე ვთქვათ, რომ პოლონელმა მწვრთნელმა ასევე აფრიკის თასზე კოტ დივუარი მესამე, ტუნისი კი მეორეზე გაიყვანა.

მოხეტიალე მწვრთნელი — ასე შეიძლება შევაფასოთ კასპერჩაკის მუშაობა. ნაკრებებში ის მხოლოდ აფრიკელებს არჩევდა და ვნახოთ...

კიდევ იმას დავამატებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ კვირიდან უფრო აქტიურად შეუდგება მწვრთნელის მოძიებას.

ილია ნანობაშვილი

# სებრტმა ბანრიბი ჩამოწერა: მალაროელი, მესხეთი, სპარტაკი

საქართველოში დარჩენილი ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი, ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი პეტარ სეგრტი აპირებს, თავისი ცოდნა რეგიონებში მომუშავე მწვრთნელებს გაუზიაროს, რის თაობაზე ადრეც ვწერდით.

ხვალ სეგრტი თავისივე ასისტენტი ლევან ხომერიკთან ერთად, ჭიათურას ეწვევა და „მადაროელთან“ ჩაატარებს ვარჯიშს, ხუთშაბათს კი ახალციხის „მესხეთს“ დამოძღვრავს ერთი დღით.

მსგავსი ვიზიტი ცხინვალის „სპარტაკშიც“ არის დაგეგმილი, თუმცა თარიღი ჯერ უცნობია.

მიხეილ შორჭოლიანი



მ. დოლინაშვილის ფოტო

გიორგი ახვლედიანი

სვეტი

## პინ პრის შედეგი

აგე, ისევ არა გვყავს მწვრთნელი და სამი ამხანაგურიც კარსაა მომდგარი. ამხანაგურები მსუყედ იყო დანიშნული, ბიჭების მზადყოფნისთვის და გამოცდილებისთვის. გასულ კვირაში რომ ვწერდი სვეტს, მეგონა, რომ კლაუს ტოპმოლერი ერთხანს მაინც გაატანდა ნაკრების საჭესთან. ვფიქრობდი, ეგრე იოლად წამსვლელი არ ჩანს-თქო. იოლად წავიდა, გარეგნულად მაინც. ჩანს, მოუგვარეს ყველაფერი და თან ხელჩასაჭიდიც არაფერი ჰქონდა, საერთოდ აღარაფერი. ის, რაც იოჰან ბოსკამპს ორ-სამ თვეში შეექმნა ცხადი, ამას ორ წელიწადს ეკვეთებოდა თვალწინ.

ტოპის გარეგნული უარყოფითობა ის იყო, რომ აქ ცხოვრება არ უნდოდა და ბოსკამპით იდლიაში თონისპურამორილი არ ღადიოდა ქუჩაში. უხილავი მინუსები კი ალბათ სხვაც მოეძებნებოდა. ხმოვანი მინუსი ის გახლდათ, რომ კარგა ხანს ამბობდა, საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელები ნაკრებისთვის საინტერესო არ არიანო. ბოლოს ისეთ დღეში ჩავარდა, ნაკრებში წვევამდელის ასაკამდელ ბიჭებს იწვევდა, რამაც ერისა და ბერისთვის აუტანელი წაგებები გამოიწვია, თუ შოტლანდიასთან უცრად ატეხილ კანანადს არ ჩავთვლით. თავის დროზე გაიოხ დარსაძემაც პირტიტველანი მოიყვანა გუნდში და ასევე საშინელი წაგებების შემდეგ გადააყენეს. თუმცა, ალბათ, იქ მხოლოდ წაგებაში არ იყო საქმე, საერთაშორისო გამოცდილების სახელიანი კაცი უნდოდათ.

ასეთი კაცი შეასკდა ქართული ფეხბურთის უცნაურ კლდეს, ვითარცა ტალღა და არც არაფერი. როგორც მოიქცა, ისევე მოიქცა.

ახლა სხვა მოიძებნება. ვინც კი იმ დღეს, რედაქციაში ხუმრობით ჩამოვთვალეთ, მეორე დღეს ყველა სავარაუდო სიაში ვნახე. არ მგონია, დანიელ პასარელა ის იყოს, რაც გვინდა. ენა რომ ესმოდეს ჩვენი, კიდევ ჰო, ეტყოდა ტკბილებს ვარსკვლავებს, მაგრამ ისე რას გააგონებს? ჩვენ იმაზე ვიჯავროთ, კახა კალაძე თმას შეიჭრის თუ ნაკრებში თამაშზე უარს იტყვის? ამის ფუფუნება არ გვაქვს.

ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანს კარლოს ალბერტო წვრთნიდა და ყველაზე დასამაზსოვრებელი რაც გააკეთა, ისა თქვა, ოუენმა თამაში არ იცისო. თუ ეგეთი ამბები გვინდა, რაზეა ლაპარაკი. მგონი, ნაკრების ფეხბურთელებისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მათი მწვრთნელი. საერთოდ არანაირი. ერთხელ ტოპის ჩამოყვანაზე აზრი მკითხეს, ისე, მეგობრულ საუბარში და რატომღაც ვთქვი, ათი წლის წინ უნდა ჩამოგვეყვანათ-თქო. ახლა მგონია, რომ სწორად ვთქვი.

დღეს სხვა რამეა საჭირო. ჩვიდმეტი წლის ბიჭები ნაკრებში გულანთებულნი მოდიან და იქ საბჭოთა საქართველოს ლამაზი ქუჩების სული ხვდებათ. ამ ბავშვებმა არ იციან ათასი ოხრობა, მათ ნაკრები ესახლებათ და ცივ შხაპს კი იღებენ. ეს ასეა და ყველამ იცის. საქართველოს ნაკრები ოქროს ზაპონკები. და ოტელ ჰაიათის ლუქსი არ არის, სადაც ქალებს მიყრი, გულშემატკივრები კი მეტროლოტელები არ არიან.

ტოპმოლერის ძმაზე ისეთი ამბავი იყო ატეხილი, თითქოს მთელი საქართველოს თანამდებობის პირების ძმები უკანასკნელი საუკუნის მანძილზე მხოლოდ იმიტომ არ ცხოვრობდნენ კარგად, რომ თანამდებობის პირების ძმები არიან.

ტოპმოლერი ვერ ჩაერთო ჩვენს საქმეში. სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ის სრულიად დამარცხდა, პირწმინდად და უკანმოუხედავად. მან არ ჩაყვინთა და ხმლის ქნევა არ დაიწყო. წავიდა თავის გზაზე, წაიღო ის ხელფასი, რომელზეც მისი მოსვლის დღიდან ყველა ლაპარაკობდა, რაში იღებს ამდენ ფულსო. შეუთანხმდნენ, და იღებდა. ყველაფერი მოუგვარეს, მაგრამ მთავარი ვერა: სანაკრებო ვარსკვლავის ნდობა და პატივისცემა ამ კაცმა ვერ მიიღო. რატომ? აბა, რა ვიცი, რატომ. ფეხბურთელები გულახდილობით არ გამოირჩევიან, რომ გაამბონ, რა და როგორ, არც ტოპის გაუგრძელება სიტყვა.

საქმე ეგ არის, ვინ უნდა იპოვო ისეთი, ნაკრებს რომ დაეტყოს? კაცი, რომელიც მართლა საჭესთან დადგება.

ბედნიერი გულშემატკივრები ვიქნებოდით, ჩვენს ნაკრებს ტაქტიკა და ვარჯიში რომ ჰყოფნიდეს. მაურინიუ აქ არ მოვა და კრძალვით სხვას ვის შეხედავენ.

თვით ვენგერსაც ძალიან ინტელიგენტური იერი აქვს იმისთვის, თავი რომ დაუხაროთ.

აბა, რა ვიცი.

ვინ არის შემდეგი?



# თურქეთი კი მოგეძონა, მაგრამ ამერიკა ვფიქრობ

## დიმიტრი ტატანაშვილი: ჯერ აქ და მერე იქ

შაბათის „სარბიელში“ გამცნეთ, „ამერის“ თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი თურქეთში რომ იყო მინველი. იქაურმა „ქაისერისფორმა“ ქართველ ფეხბურთელს თვალი დაადგა და გასაცნობად და შესამომხმებლად რამდენიმე დღით თავისთან წაყვანა ითხოვა.

ამ შეთავაზების წინააღმდეგ არც თბილისელები წავიდნენ, ტატანაშვილი ქაისერში გაუშვეს და ჩემპიონატის მე-20 ტურში ცხინვალის „სპარტაკთან“ თამაშის გამოტოვების უფლებაც მისცეს.

თბილისში დაბრუნებულ ტატანაშვილს კი ჩვენც შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...



გაბრიელ დოლონაძე/საბურთალოსი

— როგორ მოხდა თურქებთან შენი დაკავშირება?

— პირადად მე არავისთან მილაპარაკია. ურთიერთობა კლუბებს ჰქონდათ. „ამერში“ მითხრეს, რომ „ქაისერისფორმიდან“ იყო შემოთავაზება და რამდენიმე დღით მიშვებდნენ.

— შენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა „ქაისერმა“?

— ძალიან კარგი გუნდია. ახლა თურქეთის სუპერლიგაში მეხუთე ადგილზეა და ბოლო სამი სეზონი უეფას თასზეც თამაშობს. გამართული ინფრასტრუქტურა აქვთ, ხარისხიანი მოედნები, ბაზა... პიროვნულადც ნორმალური ურთიერთობა მქონდა ყველასთან, ბიჭები მეგობრულად შემხვდნენ... გუნდთან უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავი,

ბაზაზე ცხოვრება ვარჩიე. თავიდან მკითხეს, ბაზაზე ცხოვრება გირჩევნია თუ სასტუმროში. ერთადერთი, ენის პრობლემა მქონდა, მაგრამ „ქაისერში“ ბულგარეთის ნაკრების მეკარე ივანკოვი თამაშობს და ის მითარგმნიდა რუსულად.

— როგორ ფიქრობ, შენ როგორი შთაბეჭდილება მოახდინე თურქებზე?

— ვფიქრობ, კარგი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხუთი დღის მერე, როცა უკან უნდა დაებრუნებულიყავი, მწვერთნელმა მითხრა, ერთი კვირა კიდევ დარჩიო. ცუდი შთაბეჭდილება რომ დამეტოვებინა, ცხადია, დარჩენას აღარც შემომთავაზებდნენ.

— რამდენად მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან „ქაისერში“?

— ოთხი-ხუთი ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. საკუთარ თავს რომ შევადარო, ზოგიერთები ფიზიკურად მჯობნიდნენ, სხვა კომპონენტებში კი არავის არაფრით ჩამოუვარდებოდი, მე ასე მგონია...

— რაიმე ისეთი ვარჯიშები ჰქონდათ, რაც შენთვის სიახლე იყო?

— არა, არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი ვარჯიშები აქვთ.

— ახსენე, ერთი კვირით დარჩენა კიდევ შემომთავაზეს...

— დიახ, მაგრამ შეთანხმებას ზომვერ დავარდევდი, თან ამ კვირაში „ამერს“ ორი უმნიშვნელოვანესი თამაში აქვს: ჯერ თასზე „ბორჯომთან“, მერე კი ჩემპიონატში „დინამოსთან“.

— კარიერის თურქეთში გაგრძელების პერსპექტივას როგორ აფასებ?

— როგორც ვითხარი, „ქაისერ“ მომეწონა, ვნახოთ, კლუბები როგორ მოილაპარაკებენ. ჯერჯერობით კი, „ამერის“ თამაშებზე ვფიქრობ...

კობე კეკელია



## პირველი ლიგა, პირველი თამაში, პირველი გოლი

„ზმსტაფონის“ ფორვარდი ნიკა გელაშვილი სამთავიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. გელაშვილი „ზესტაფონმა“ იანვარში იყიდა „ვიტ ჯორჯიასგან“ და თურქულ შეკრებაზე მიიმდგ და შავდა — ლავიწის ძვალი გაიტყვნა. მას შემდეგ ნიკა მკურნალობდა და პირველად გუმინ ითამაშა პირველი ლიგაში „ზესტაფონი 2“-ში. ითამაშა ერთი და, გელაშვილი სულაც გოლით დაბრუნდა — მისმა ზუსტმა დარტყმამ იმერული კლუბი დააწინაურა, თუმცა „სამტრედიამ“ ამას ორი გოლით უპასუხა და საბოლოოდ, 2:1 მოიგო.

ბახა ზალაბერიძე

# საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი 11 წრე, 20 ტური



გაბრიელ დოლონაძე/საბურთალოსი

მცხეთა. 5 აპრილი. 16 საათი. პრეზენტი. 200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 3:0 მერანი**

1:0 ბეჭვია (26), 2:0 პ. დათუნაშვილი (77), 3:0 ლიპარტია (90)

<p><b>ვიტ ჯორჯია:</b> ბეჭვია, პ. დათუნაშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომია (ყველაშვილი 80), ჯაფარიძე (ჯ. ლიპარტია 59), ლ. რაზმაძე, გ. დათუნაშვილი, ბეჭვია, გ. მელქაძე ბერიასვილი, სახოკია (ინჯგია 84) <b>სათადარიგო:</b> მიქაბერიძე; პირველი, დუჭაშვილი, კვალინიძე <b>მწვრთნელი:</b> ნესტორ მუმლაძე</p>	<p><b>მერანი:</b> დგებუაძე, გ. ლოლაძე, გ. თავზერიძე, გიგაური, აბშილაძე, ქემაშვილი, ბესარაშვილი, ბაკურაძე (ფირანიშვილი 46), იაკო დვისაძე (კაკულია 74), იაკობ დვისაძე (ქოქიაშვილი 51), ტიელიძე <b>სათადარიგო:</b> ბლაგიძე, სარალიძე, კობერიძე, ა. ნოზაძე <b>მწვრთნელი:</b> დავით ეჯიბიშვილი</p>
---	---

ბაზრთსილიძე: ქემაშვილი (78)

მსაჯეობი: დ. ხარტიონაშვილი, ი. უკლება, ზ. ფიფია, ლ. ფანიასვილი

# ვიტ ჯორჯია მეთერთხმეტიანი ავიდა

ილია ნანობაშვილი მცხეთიდან

„ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ მეთერთხმეტი მატჩი მოიგო ჩემპიონატში და „დინამოს“ მოსვენებას არ აძლევს — ერთი გამარჯვების გაწვედნაზეა, რათა ლიდერობა გაუცვალოს და თუ გავითვალისწინებთ, რომ ორ კვირაში მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“... მასპინძლებს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, დისკვალიფიცირებული ირაკლი კლიმიაშვილი აქლდათ, მაგრამ დიდი ოფლისდენა არ დასჭირვებიათ იმ „მერანის“ წასაქცევად, რომელშიც ლამის ყველა მატჩში, ცვლის შემადგენლობას სხვადასხვა მიზეზის გამო.

გუმინ ლაშა ჯანგიძემ, ვლადიმერ გოჩაშვილმა, ბექა ყლენტმა და ეროვნული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძემ არ ითამაშეს.

ერთადერთი, რაც შაბათს „არმაზზე“ იყო, ამინდია. ფეხბურთი კი... „მერანი“, ასე თუ ისე, ცდილობდა თამაშის გამწვავებას, მაგრამ მაინც ცალკარა გამოვიდა, რაკილა გრიგოლ ბეღიაშვილს ერთხელაც არ დასჭირვებია გადახტომა.

პირველ ტაიმში სულ სამი საგოლე მომენტი შექმნეს ვიტელებმა — გიორგი ბერიასვილი ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ორჯერვე დააყოვნა დარტყმა, ერთხელ მცველი ჩაუხტა ფეხებში, მეორედ კი მერანელთა მეკარეს უნიათოდ

უგდებდა ბურთს თავზე და არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, გიგა ბეჭვიაიმ გაიტანა: პაატა დათუნაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს თავური შეაგება და 26-ე წუთზე 1:0 გახდა.

მეორე ნახევარი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა პირველისგან, რომ ორი გოლი გავიდა და ესეც „მერანის“ დაღლილობას უნდა მივაწეროთ — ბოლო 15 წუთში საერთოდ ვეღარ უწევდნენ წინააღმდეგობას მასპინძლებს.

პაატა დათუნაშვილმა ლუკა რაზმაძის პასით იხეირა, 15-ოდ მეტრიდან შორეულ კუთხეში დაარტყა და 2:0; ბოლო წუთზე კი მეცვლაზე შესულმა ჯაბა ლიპარტი-

ამ თავით შეაგდო — 3:0.

ამას გარდა, გიორგი დათუნაშვილმა და ლიპარტიამ (ორჯერ) გაანიავეს კარგი შანსები.

ლიპარტია წინა მატჩების მიმოხილვამაც შევაქეთ — ნამდვილად ნიჭიერი ფეხბურთელია, მეცვლებზე შედის და ძალიან ამწვავებს თამაშს. გუმინაც, მეორე ტაიმში ვიტელთა ყველაზე ნათელი წერტილი ის გახლდათ.

მეტი რალა შეიძლება იქვას, „ვიტ ჯორჯიამ“ ცალი ფეხით მოიგო და მეთხუთმეტე სეზონის მოლოდინშია — მომდევნო ტურში „სპარტაკთან“ ითამაშებს გორში, მერე კი ვინძლო, საჩემპიონო ჯახი ელის „დინამოსთან“.

დინამო	20	18	0	2	51:11	54
ვიტ ჯორჯია	20	17	1	2	40:10	52
ზესტაფონი	20	15	3	2	43:11	48
ამერი	20	12	2	6	36:21	38
ოლიმპი	20	10	4	6	18:15	34
ბორჯომი	20	8	4	8	25:24	28
მესხეთი	20	8	4	8	19:23	28
მგლები	20	8	3	9	21:20	27
სიონი	20	6	5	9	22:27	23
მერანი	20	5	1	14	11:35	16
სპარტაკი	20	4	4	12	8:23	16
ლოკომოტივი	20	3	5	12	11:26	14
ბათუმი	20	3	3	14	10:37	12
დილა	20	1	5	14	8:42	8



პირველი მეტობა გოლის სახაში

ზუგდიდი. 5 აპრილი. 16 საათი. მ. თუთხაძე. 2 200 მაყურებელი

გოლები 5:0 დილა

Table with match statistics: ზ0 ჟენია (25), 2:0 ჭკადუა (37), 3:0 ჯანაშია (61), 4:0 ექონია (87), 5:0 კაკაბაძე (90). Includes lists of scorers and assists.

სოსო გულუა ზუგდიდიდან

მაშ, ასე: ზუგდიდის „მგლებმა“ უმაღლეს ლიგაში პირველად გაიფორმა დიდი ანგარიშით მოგება, თუმცა შეხვედრის დასაწყისი ამის არავითარ საფუძველს არ იძლეოდა. თითქმის ოცი წუთის განმავლობაში მოედანზე ორი თანაბარი სიძლიერის გუნდი იბრძოდა და, მართალია, გორელებმა თავიდანვე დაცვით ტაქტიკას მიმართეს და საკუთარ საჯარიმოში გამაგრდნენ, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე გრძელი პასებით ახორციელებდნენ კონტრშეტევებს და ცდილობდნენ თავდასხმაში ეული გიორგი მიქაძის პასებით მომარაგებას, თუმცა ამას მასპინძელთა დაცვა იოლად უმკლავდებოდა. პირველი ხიფათი სტუმრების კართან მე-17 წუთზე შეიქმნა, როცა ლერი ხოხონიშვილი ახლო მანძილიდან ურტყამდა, მაგრამ კუთხე მეტად მახვილი იყო და მეკარემ მოიგვრია. 23-ე წუთზე დავით ქირიას ჩაწოდებულზე მეკარე საკმაოდ შორს გამოვიდა კარიდან და ბურთი მოიგვრია. ორ წუთში კი წურწუშიამ დიდებული პასი გაუკეთა გორელთა მცველებისგან მიტოვებულ გიგა ჟენიას, რომელმაც აუღელვებლად

შეაგორა ბურთი ავთანდილ ცერცვაძისგან მარჯვენა კუთხეში. გორელებმა თითქოს სცადეს მდგომარეობის გამოსწორება და რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს მასპინძელთა კარისკენ. ჯერ ტლაშაძემ დაარტყა არაზუსტად, შემდეგ მიქაძის სუსტი დარტყმა მოიგვრია მეკარემ, მაგრამ ეს იყო და ეს, მეტის გაკეთება ალბათ მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა. რაც შეეხება მასპინძლებს, ამის შემდეგ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენეს — შეუსვენებლად უტევენდნენ მეტოქეს და რომ იტყვიან, მცველებს კბილებიდან აღვრევიან ოფლი. ჭკადუმ კარგად გამოიყენა კრასოვსკის პასი და საკმაოდ შორი მანძილიდან ანგარიში გააორმაგა. ამ ანგარიშით ჩამთავრეს გუნდებმა პირველი ნახევარი. როგორც ჩანს, ორბურთიანმა სხვაობამ ფრთები შეასხა მასპინძლებს და მეორე ნახევრის დაწყებისთანავე გრივალისებური იერიშები მიიტანეს მეტოქეზე. სამი წუთის განმავლობაში ზედიზედ ოთხი კუთხური ჩაწოდეს. 61-ე წუთზე ჭკადუას ძლიერი დარტყმა მოიგვრია ცერცვაძემ. მასპინძლები ისე გაერთნენ შეტევებში, რომ მოწინააღმდეგის საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევა გა-

ეპარათ — 56-ე წუთზე აბრამიშვილ-მიქაძის კომბინაცია კინაღამ გოლით დასრულდა, მაგრამ თავგანწირვით ითამაშა მაჭავარიანმა და განმუხტა მდგომარეობა. ეს იყო სტუმართა მხრიდან გოლის გატანის ერთადერთი რეალური შანსი მთელი მატჩის განმავლობაში. ამის შემდეგ ისევ მასპინძლები აქტიურობდნენ. 61-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ზამირ ჯანაშიამ გიორგი კრასოვსკის პასით იხეირა. შემდეგ ზურაბ ექონიას დარტყმა მოიგვრია მეკარემ, 68-ე წუთზე კი მაჭავარიანმა ოდნავ ააცილა. სტუმრებს დღლა დაეტყობ და ბელსაც შეურიგდნენ, ძალიან ხშირად უმისამართოდ იეკრიებდნენ ბურთს. 78-ე წუთზე ჭკადუა პირისპირ გავიდა ცერცვაძესთან, მაგრამ მისი დარტყმული ასცდა ყველას და ყველაფერს. 87-ე წუთზე „მგლების“ კაპიტანმა ზურაბ ექონიამ გაინავარდა მეტოქის საჯარიმოში, უკან მოიტოვა ორი მცველი და ეფექტური გოლი გაიტანა — 4:0. საბოლოო წერტილი შეხვედრას 90-ე წუთზე მალხაზ კაკაბაძემ დაუსვა და ანგარიში ხუთამდე აიყვანა. „მგლებმა“ მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და საკმაოდ განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ. ბესიკ შეროზია: გუნდი აშკარა პროგრესს განიცდის და ჩვენ ეს დავამტკიცეთ არა მარტო დღევანდელ, არამედ სხვა შეხვედრებშიც. მადლობას ვუხდის ბიჭებს იმისთვის, რომ ბოლომდე დაიხარჯნენ... მიმდინარე სეზონში ჩვენი მიზანი ექვსეულში მოხვედრა და ვფიქრობ, გუნდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს რეალურია.

შპს "საქართველო" მატჩი: ზ0, 2:0 ინსარბიძე (53, 80). მსხმითი: სომხიშვილი, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, თ. ღონდაძე, ლევიშვილი, ინსარბიძე (კ. ხანიშვილი 80), კოშკაძე, მ. თაყაძე, გვირგვინიშვილი (სუდაძე 82), კიკნაძე (სამადაშვილი 53), სათადარიგო: ძამუნაშვილი, თელიაშვილი, მუშუდიაშვილი, ი. თაყაძე. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი. მწვრთნელი: სეფიაშვილი, კაკუბაძე, თედიაშვილი, გურული, გოგიანიშვილი, გივი ჩხეტიანი, ვ. ბოლქვაძე, ქავთარაძე, ლომიძე (ნასყიდაშვილი 65), კირთაძე, დერინგი, სათადარიგო: დათუნაშვილი, სითარიშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე. მატჩის მძღვენი: მ. თაყაძე (73), თედიაშვილი (78). მატჩის მძღვენი: კაკუბაძე (56). მსაჯენი: ა. ნონიკაშვილი, ლ. თოდრია, დ. კვეტნაძე, ლ. კვარაცხელია.

კარგი და ცუდი ბიჭები მსაჯის გაბდებული მწვრთნელმაც გააგლო

მინიმალ შორშოლიანი ახალციხიდან გის დარტყმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ეს იყო და ეს, „ბორჯომმა“ ბურთი და მოედანი მასპინძლებს დაუთმო. 64-ე წუთზე კოშკაძე-გვირგვინიშვილ-სამადაშვილის კომბინაცია ხარბხაზე გარტყმით დასრულდა. ძალე იმავე სამადაშვილსა და ღონდაძეს კონსტანტინე სეფიაშვილმა აულო. 77-ე წუთზე კი გვირგვინიშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა. მე-80 წუთზე კოშკაძემ მარტო გაჭრა ბორჯომელთა დაცვა, მკარესთან პირისპირ დარჩენილს თავდაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მიხეილ თაყაძეს გადააწოდა, რომელიც თამაშარეში იყო. იმავე წუთზე მეკარესთან პირისპირ გურამ სამადაშვილი დარჩა, კარიდან გამოსული სეფიაშვილი ფეხებით ჩაუხტა, ასხლექტილი ბურთი ინსარბიძეს მიუვიდა და მანაც 30 მეტრიდან დაუცველ კარში გადაგზავნა და მოედნიდან კალმონხილი გავიდა. ახალციხეში ფეხბურთის მონატრებული მაყურებელი მესამე გოლს ითხოვდა. თუ კიდევ ერთ გოლს გაიტანდნენ მასპინძლები, ცხრილშიც გადაასწრებენ მეტოქეს. ამის გაკეთება ლევიშვილს შეეძლო, მაგრამ კოშკაძის პასით პირისპირ დარჩენილმა ბურთი ძალიან წინ გაივლო და მეკარემ დაასწრო. პრემკონფერენცია ვლადიმერ ხაჩიძე: ყურადღება სათასო მატჩზე გვაქვს გადატანილი და დღეს ახალგაზრდები გამოვცადეთ. ფეხბურთელებს რაც შეეძლო, იბრძოლეს. კაკუბაძემ გუნდი დააღალატა — ეს ზედიზედ მეორე მატჩში გააკეთა და პრესკონფერენციაზე მოსვლამდე გუნდიდან გაუშვა. კობა თედიაშვილი: ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ. ვიცოდით, რომ „ბორჯომი“ არაფერს დაგვითმობდა. ცოტა მეტიც შეგვეძლო, მაგრამ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეტოქეს კი წარმატებას ვუსურვებთ.







# საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XXIV ტური

4 აპრილი, რუსთავი

ინერპი-ინტენსი 87:70 დინამო  
24:14 25:20 24:18 14:18

ინერპი: გამყრელიძე (7), ლევია (13), ქოჭუა (3), სტეფანოვი (10 ქულა, 13 მოხსნა), ბაბიაშვილი (15); დინამო: გომობერიძე (13), ტუფაძე (9), დიდი (7), ცეკვაძე (8), ჩიტაშვილი, მაჭავარიანი, დანელიანი (2)  
დინამო: სიგუა (6), კუჭავა (2), გულსაბედაშვილი (6), ფაქრეძე (5), ახალკაცი (10); ათანელიძე (21), ნანიტაშვილი (8), ფლენტი (11), მაისურაძე (1)  
მსაჯები: ზაზა მარალიძე, სათუნა გაბედავა  
კომისარი: მურმან ქერიძე

6 აპრილი, სპორტის სასახლე

ოსუ 93:90 მასპი  
15:18 25:18 17:35 36:19

ოსუ: დ. ბერიშვილი (8), ფაშულიძე (6), ხეცურიანი (31), კვიციანი (9), ტყეშელაშვილი (10); არნიციძე (3), კობრიძე (11), ყველაშვილი (13), ხიზანიშვილი, ზ. ნოზაძე (2)  
მასპი: ი. ბერიშვილი (14), სორდია (4), პირველაშვილი (11), კოლუაშვილი (22 ქულა, 13 მოხსნა), ს. შერმაძე (19 ქულა, 13 მოხსნა), კორკოტაძე (14), იოსელიანი (6), ამბედიანი  
მსაჯები: ზაზა მარალიძე, გურამ მიქელაძე  
კომისარი: როლანდ გელოვანი

აპიამშენი 80:78 ვითა

14:23 27:20 21:20 18:15

აპიამშენი: ტულუში (11 ქულა, 10 პასი, 6 ჩაჭრა), ნიკოლაძე (9), მინაშვილი (8), მათიაშვილი (7), როდუტა (2); ხოშტარია (19 ქულა, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა), კვიციანი (13), ნინიაშვილი (9 ქულა, 10 მოხსნა), ბერაია (2)  
ვითა: მარხვაშვილი (15), მარკოიშვილი (20), ბეგანიშვილი (14), ბ. ბერიშვილი (6), ბერძენიშვილი (10); გვიმრაძე (13), ლ. ნოზაძე, ძიძიგური, ნ. ნოზაძე  
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეგაშვილი  
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

## ხოშტარია აპია ააფრინა



სა...სირენამდე 17 წამით ადრე ვითელმა გიორგი მარხვაშვილმა არც აცია, არც ახცელა და მიუხედავად იმისა, რომ სამქულიანის ნიშნულამდე თავისუფალი სივრცე ჰქონდა, მაინც ესროლა და... 78:78. „აპიამშენის“ ბოლო შეტევა მანამდე მარხვაშვილმა მოთამაშე ირაკლი ხოშტარიამ წამოიწყო, ბურთი კამერუნელ პლასიდე როდუტას გადააწოდა, რომელიც სამქულიანისა და საჯარიმოს ნიშნულებს შორის იდგა. სხვა დროს 210-სანტიმეტრიანი როდუტა ასე შორიდან ალბათ არ ესროდა, მაგრამ დრო იწურებოდა და კამერუნელიც ბედს მიენდო. მისი სროლა ასცლა მიზანს, თუმცა ფარიდან ასხლეტილი ბურთი ხოშტარიამ მოხსნა და საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ერთი შეხებით ვითელთა კალათში ჩააბრუნა. არა მხოლოდ ამ, გამარჯვების ბურთის ჩაგდებასთვის გახდა ირაკლი ხოშტარია ტურის საუკეთესო მოთამაშე. ის 19 ქულით „აპიატორთაგან“ ბომბარდირი იყო და ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, როცა თამაშის ბედი წყდებოდა, თავის გუნდის შეტევებს ორგანიზებასაც შეუძლია და ხშირ შემთხვევაში შედეგიანადაც აგვირგვინებდა. საპლეიოფო ოთხეული თითქმის გარკვეულია, მაგრამ გუნდებს შორის ახლა ადგილების გადანაწილებისთვის მიდის ბრძოლა. „ენერჯინგის“ პირველობა განადგობილი აქვს, ხოლო „აპიამშენი“, „ვითა“ და თსუ იმისთვის იბრძვიან, რომ მეოთხე ადგილს, ანუ ნახევარფინალში რუსთაველებს ასცდნენ. „ვითა-

სა“ და „აპიამშენის“ გუშინდელ დაპირისპირებას გვარიანი დაძაბულობა ამიტომაც ახლდა. ვითელებს რომ მოეგოთ, ამ მოქიშპე 3 გუნდს ქულათა ერთნაირი ოდენობა უგროვდებოდა, მაგრამ ხოშტარიამ არ დაანება და „აპიამშენი“ მეორეზე გამაგრდა, ხოლო „ვითა“ „არასასურველ“ მეოთხე პოზიციაზეა. არადა, ზურაბ ტომარაძის გუნდმა ჩინებულად დაიწყო თამაში და მიუხედავად „აპიატორთა“ ტანდალალი ხუთეულისა, ბოლო მეოთხედამდე არაფერი გასჭირვებია. პლასიდე როდუტა, ვასტანგ მინაშვილი, რინარდ მათიაშვილი — „აპიამშენმა“ ამ ორ მეტრს აცილებული კალათბურთელებით დაიწყო თამაში. რასაც „ვითა“ ფარქვეშ აგებდა, იმაზე გაცილებით მეტს იმედა სწრაფი გარღვევებით და ძირითადად მღვერის როლში ამყოფებდა „აპიამშენს“. ლევან მოსეშვილისთვის ცხადი გახდა, რომ ასე თამაშს ვერ მოიგებდა და მოედანზე მყოფთ დაბლნი შეაშველა. ბუბა კვიციანი და განსაკუთრებით ირაკლი ხოშტარია კარგად ჩაერთვნენ თამაშში და „აპიატორებს“ სისწრაფე და მიზანი შემატეს. თან „ვითა“ გადაიღალა და ბოლო მეოთხედში ფიზიკურად ამკარად უკეთესად მომზადებულმა მოსეშვილის სამწყსომ იძალა. ამ მატჩამდე არანაკლებ დაძაბული თსუ — „მაკაბი“ გაიმართა. სტუდენტებს აშკარა ჩავარდნა აქვთ და გიორგი შერმაძინის გარეშე დარჩენილი „მაკაბის“ დამარცხება ლამის სანატრელი გაუხდათ. ჯამბლეტ ხუხაშვილის გუნდს გუშინ ლიდერად ვიქტორ კოლუაშვილი მოელონა, ვისაც ფარზე ხელს მარჯველ ამველებდა სოსო შერმაძინი. „მაკაბი“ 18 ქულით მოგებულნი მესამე მეოთხედის შემდეგ 71:57 დაწინაურდა და სპორტის სასახლეში მცირე სენსაციის სუნიც დატრიალდა, თუმცა სტუდენტებმა მაინც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება და მესამე ადგილზე თავი ძლივლივობით შეინარჩუნეს.


ირაკლი ბერაია

ენერჯი	24	20	4	44
აპიამშენი	24	14	10	38
თსუ	24	13	11	37
ვითა	24	12	12	36
დინამო	24	9	15	33
მაკაბი	24	4	20	28

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## სამოთხის კარზე კაკუნი

„ატლანტა“ პლეი ოფის კარზე აკაკუნებს და იქიდან ფეხის ხმა ესმის. მალე გაუღებენ და შეუშვებენ, ოღონდ მანამდე კიდევ ხუთი მატჩის ჩათამაშება და საბურთების ოფიციალურად გაფორმება მოუწევს. მაშინ ახდება ატლანტელთა დიდი ხნის ოცნება, ბევრი მათგანი პირველად ითამაშებს პლეი ოფსი, მათ შორის ჩვენებური ზაზა ფაჩულია და ყველა მისი თანაგუნდელი ორი გამოცდილი ლიდერის, ჯო ჯონსონისა და მაიკ ბიბის გარდა. პარასკევს კი ქართველის გუნდმა სამოთხისკენ დაძრულ გზაზე ქვას წამოჭრა ფეხი — ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ შინ წააგო „ფილადელფიასთან“, რომელიც მასზე ოდნავ წინ ღვას აღმოსავლელი გუნდების მწკრივში და მასზე ადრეც გაუნადგებია ადგილი პლეი ოფსი. ბრძოლა ფიცხელი და თანაბარი გამოვიდა, მაგრამ იგრძობოდა სტუმართა სულ ოდნავ უპირატესობა. ორი ანდრეს, იგუდალასა და მილერის გუნდმა ბოლო მეოთხედი უკეთ ჩაატარა და მასპინძლებს მარცხით გაუხუნა მოახლოებული საპლეიოფო ეიფორია.



4 აპრილი

**ატლანტა 104:109 ფილადელფია**  
ატლანტა: ბიბი (3 ქულა, 11 პასი), ჯონსონი (32), ულიამსი (19), სმიტი (12), პორფორდი (10); ჩილდრესი (20), ფარულა (17 ნუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა), ლოუ (2), ვესტი  
ფილადელფია: მილერი (23), გრინი (15), იგუდალა (30 ქულა, 10 პასი), იანგი (12), დალემბერტი (15 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (9), კერნი (5), ევანსი, სმიტი  
**ტორონტო 100:105 შარლოტი**  
ტორონტო: ნესტეროვიჩი (29 ქულა, 10 მოხსნა), ბოში (23), მუნი (16)  
შარლოტი: რიჩარდსონი (27), ფელტონი (21), ოკაფორი (15 ქულა, 13 მოხსნა)  
**ვაშინგტონი 109:95 მაინამი**  
ვაშინგტონი: ბატლერი (29), ბლექბერი (17), პეიფიდი (14)  
მაინამი: დევისი (33), ტუნი (24)  
**დატროიტი 106:87 ნიუ ჯერსი**  
დატროიტი: მაკდიაისი (19), ვოლესი (17)  
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (15)  
**მიჩიგანი 86:117 გოლდენ სტეტი**  
მიჩიგანი: გაი (23)  
გოლდენ სტეტი: ბიედრინსი (21 ქულა, 17 მოხსნა), ელისი (19)  
**იუტა 90:64 სან ანტონიო**  
იუტა: ოქერი (17 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (16 ქულა, 11 პასი), ბუზერი (16)  
სან ანტონიო: პარკერი (17), დანვანი (15 ქულა, 10 მოხსნა)  
**ნიუ ორლეანი 118:110 ნიუ იორკი**  
ნიუ ორლეანი: პოლი (33 ქულა, 15 პასი), სტოიაკოვიჩი (22), ვესტი (17)  
ნიუ იორკი: კროფორდი (29), რობინსონი (23), რენდოლფი (22 ქულა, 12 მოხსნა)  
**მილუოკი 101:105 ინდიანა**  
მილუოკი: რედი (28), ბოგუტი (21 ქულა, 16 მოხსნა)  
ინდიანა: დანლივი (27 ქულა, 11 მოხსნა), მერფი (17)

**ფინიქსი 117:88 მინესოტა**  
ფინიქსი: სტუდემიერი (24), პილი (16 ქულა, 10 მოხსნა), ბელი (15)  
მინესოტა: ჯეფერსონი (24 ქულა, 12 მოხსნა)

**სეიტლი 66:79 ვიუსტონი**  
სეიტლი: კოლისონი (15 ქულა, 11 მოხსნა)  
ვიუსტონი: მაკგრედი (25), ჯექსონი (13)

5 აპრილი

**ფილადელფია 85:92 ატლანტა**  
ფილადელფია: მილერი (18), გრინი (2), იგუდალა (25), იანგი (2), დალემბერტი (2 ქულა, 10 მოხსნა); უილიამსი (13), კერნი (13), ოლი (6), ევანსი (4), სმიტი  
ატლანტა: ბიბი (10), ჯონსონი (22), უილიამსი (18), სმიტი (18 ქულა, 10 მოხსნა), პორფორდი (10 ქულა, 12 მოხსნა); ფარულა (16 ნუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა), სტუდემიერი (6), ჩილდრესი (2)

**კლივლენდი 86:101 ორლანდო**  
კლივლენდი: ვესტი (19), ილგაუსკასი (18), ჯეიმი (17)  
ორლანდო: თურქოლლუ (23), ლუისი (21), ნელსონი (16)

**შარლოტი 78:101 ბოსტონი**  
შარლოტი: ოკაფორი (17), ბოიკინსი (15)  
ბოსტონი: პოუ (22), პოუზი (19)

**ნიუ ჯერსი 99:90 ტორონტო**  
ნიუ ჯერსი: კარტერი (32), ჯეფერსონი (28)  
ტორონტო: ნესტეროვიჩი (22 ქულა, 14 მოხსნა), ბოში (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 87:99 ვაშინგტონი**  
ჩიკაგო: გორდონი (18), პიუზი (16)  
ვაშინგტონი: პეიფიდი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბატლერი (18)


**დენვერი 115:118 საკრამენტო**  
დენვერი: ენტონი (47 ქულა, 11 მოხსნა), კლიზა (28), აივინსონი (13), სმიტი (13), კემპი (4 ქულა, 14 მოხსნა, 11 პასი)  
საკრამენტო: მარტინი (36), გარსია (29), მური (23 ქულა, 10 მოხსნა)

აღმოსავლეთი			დასავლეთი				
ბოსტონი	61	15	80,3	ნიუ ორლეანი	53	22	70,7
დატროიტი	54	21	72,0	სან ანტონიო	52	24	68,4
ორლანდო	48	28	63,2	ლეიკერსი	52	24	68,4
კლივლენდი	42	35	54,5	იუტი	51	26	66,2
ვაშინგტონი	40	37	51,9	ფინიქსი	51	25	67,1
ფილადელფია	39	38	50,6	მიუსტონი	51	25	67,1
ტორონტო	38	39	49,4	დალასი	47	29	61,8
ატლანტა	36	41	46,8	დენვერი	46	30	60,5
ინდიანა	32	44	42,1	გოლდენ სტეტი	46	30	60,5
ნიუ ჯერსი	32	45	41,6	პორტლენდი	38	38	50,0
ჩიკაგო	30	46	39,5	საკრამენტო	36	40	47,4
შარლოტი	29	48	37,7	კლიპერსი	23	53	30,3
მილუოკი	26	49	34,7	მემფისი	20	56	26,3
ნიუ იორკი	20	56	26,3	მინესოტა	19	56	25,3
მაინამი	13	63	17,1	სეიტლი	17	59	22,4





ბადრი ხასიაძე



ბადრი ხასიაძე და რამაზ ნოზაძე ევროპული ვერცხლი და ბრინჯაო ირგუნეს

# ოქრო და ლიხენზია ფინეთში დარჩა

**ფინეთში** მიმდინარე მოჭიდ-ვეთა ევროპის ჩემპიონატზე ორი დღე ქალებს დაეთმო და შაბათს-კვირას უკვე „ანტიკოსები“ გაი-დნენ ხალიჩაზე. პირველ დღეს ჩე-ნებიდან ოთხი ფალავანი ჭიდაო-ბდა და აქედან სამს მედლის მო-პოვების კარგი შანსიც ჰქონდა, თუ-მც ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ერთ მედალს დავევრდით. თანმიმდევ-რობით მივეყვით.

55 კგ-ში ირაკლი ჭოჭუაძე პირ-ველი წრე გამოტოვა და მერე პო-ლონელ პაველ კრამარს მოუგო 3:0, 5:0. მეოთხედფინალში ნორვეგიელ ტომას რონინგენს 1:2, 5:1, 2:1 აჯობა. ფინალში გადასასვლელი შეხვედრა კი სომეხ რომან ამოიანთან 6:0, 5:0 დათმო. ჭოჭუაძე ბრინჯაოს ფი-ნალი რუმინელ ვირგილ მუნტეანუ-სთან წააგო 0:6, 2:1, 1:4 და ამ წონა-ში ვერც ულიცენზიოდ ვართ.

66 კგ-ში მუხრან მაჭუტაძემ სა-წყის წრეში ბერძენ ვიკვანი ჰენ-ტორესს 4:0, 1:1 აჯობა, მერე კი მომავალ ჩემპიონ, უკრაინელ არმენ ვარდანთან წააგო. დამამშვიდებ-ელში ჩეზი ტომას სობეცი და აზერ-ბაიჯანელი ჰასამადინ რაჯაბოვი დაჩაგრა და ბრინჯაოსთვის შეხვედ-რა რუს რუსლან ბელჩოროვს დაუ-თმო.

მეტოქეებმა თითო-თითო პერიო-დი მოიგეს და გადამწყვეტში გა-მარჯვება რუსს დარჩა. არადა, მა-ჭუტაძეს უპირატესობა ჰქონდა, მა-გრამ მან ბელჩოროვის გადატრია-ლება ვერ შეძლო.

შაბათს ერთადერთი მედალი ბა-დრი ხასიაძე (84 კგ) დაისაკუთრა, როცა ფინალში გავიდა. სამწუხა-როდ, იქ შეხვედრა უბრძოლველად დაუთმო თურქ მსოფლიოს ჩემპიონ ნაზმი ავლუხას, რადგან ნახევარფი-ნალში ტრავმა მიიღო და ჭიდაო-ბის დროს მარჯვენა ხელს საე-როთოდ ვერ იყენებდა. ბარაკლა მის ვაჟკაცობას, რომ ხელაკრულმაც არ

ისურვა შეხვედრის უბრძოლველად დათმობა და ხალიჩაზე გავიდა, თუმც ტკივილი იმდენად გაუსაძ-ლისი იყო, რომ რამდენიმე წაშში თავადვე შეწყვიტა ჭიდაობა. არა-და, ბადრი კარგ ფორმაში იყო და რომ არა ტრავმა, თურქის დამარ-ცება ნამდვილად შეეძლო. ფინა-ლამდე კი სულ გადარბენით მივი-და. პირველ წრეში ნორვეგიელი მატს როლფსენი 6:0, 5:0 მიანგრია და მასპინძელ ტიმო კალიოსაც იგი-ვე დღე აყარა — 5:0, 7:2. მეოთხე-დფინალში იტალიელი ანდრეა მი-ნეუცი შეიწირა 4:0, 4:3. ფინალში გადასასვლელ ორთაბრძოლაში ძლიერ ვერმანელ იან ფამერს და-ეჭვიდა — 4:1, 1:2, 2:1. ფინალზე კი უკვე მოვიყვით.

კვირას ბერძნულ-რომაული ბი-ჭვიბიდან სამმა იჭიდავა, მედლის-თვის კი — მხოლოდ ერთმა. 60 კგ-ში რევაზ ლაშხმა ჩეზ პეტერ სეველას იოლადა 3:0, 6:0 კი მოუ-გო, მაგრამ მერე რუს ალსან აბ-დულინთან დაძაბულ ჭიდილში და-მარცხდა 2:3, 4:2, 1:3. თავის მხრივ, რუსმაც წააგო და ლაშხს ბრძო-ლის გაგრძელების შანსი მოუსპო.

74 კგ-ში შმაგი გულიაშვილი პი-რველივე წრეში ხორვატ ნევან ზუ-გაჯთან დაიჩაგრა. ხორვატსაც ხე-ლი მოეცარა და შმაგი ტურნირს ნაადრევად გამოაკლდა. 96 კგ-ში მთავარი იმედი რამაზ ნოზაძე ჩა-უქობდა, რომელიც ევროპის ჩემ-პიონატს ნორმალურ ფორმაში შე-ხვდა და მისგან ყველა ფინალში გასვლას ელოდა. ქართველმა ფა-ლავენამ კარგად დაიწყო, ლატვი-ელ იგორ კოსტინსს 7:0, 4:2, სო-მეხ არმენ გეგაძემანს კი 3:0, 1:1 მოუგო, თუმც ნახევარფინალში რუს ასლანბეკ კიშტოვთან უმანსოდ და-მარცხდა — 0:7, 0:5.

ბრინჯაოსთვის ჭიდილში ნოზა-ძეს ბულგარელმა დანჩევმა დიდი ომი გაუმართა, თუმც უკანასკნელ

